

გიორგი ნანუაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური რესურსების მართვა

საქართველოში ეკონომიკის გა-
ჯანსაღების პროგრამის პრაქტიკული
განხორციელება ითვალისწინებს ფი-
ნანსების როლისა და მნიშვნელობის
ამაღლებას. ასეთ პირობებში სწრა-
ფად იზრდება თვით საწარმოთა პა-
სუხისმგებლობა საქმიანობის შედე-
გებისათვის, რადგანაც სოციალურ-
ტექნიკური, საწარმოო და სოცია-
ლური განვითარების დონე მიიღწევა
კოლექტივის მიერ გამომუშავებული
საშუალებების ხარჯზე. იმავდროუ-
ლად, ძლიერდება საწარმოთა პასუ-
ხისმგებლობა მომწოდებლებისა და
მყიდველების, ბიუჯეტისა და ბანკის,
ასევე სამეურნეო საქმიანობის სხვა
კონტრაგენტების მიმართ წარმოშო-
ბილი ვალდებულებების გამო. აღნი-
შნული პროცესები, უპირველეს ყოვ-
ლისა, ორიენტირებულნი არიან სა-
წარმოს ფინანსურ რესურსებზე, რის
გამოც წარმოიშობა ფინანსური პრაქ-
ტიკის აუცილებლობა მართვის სწო-
რედ ამ ეტაპზე.

უზრუნველყოფს რა მეურნეობას
ეკონომიკური მეთოდების დანერგ-
ვით, ბუღალტრულმა აღრიცხვამ სა-
წარმოს ფინანსური რესურსების მარ-
თვის სისტემაში უნდა გადაწყვიტოს
შემდეგი მთავარი ამოცანები: სის-
ტემური თანამიმდევრობით ჩამოაყა-
ლიბოს განხორციელებული მაჩვენებ-
ლების შესახებ ინფორმაცია, რომე-
ლიც ახასიათებს საწარმოს ფინან-
სური რესურსების მდგომარეობას
მთლიანად; უზრუნველყოს მეურ-

ნეობის ანალიზური ინფორმაციის
ყველა დონე და რგოლი, რომელიც
აუცილებელია ფინანსური რესურსე-
ბის მართვისათვის; უზრუნველყოს
საწარმოს ფინანსურ რესურსებზე
ფორმირებისა და გამოყენების მოქ-
მედი კონტროლი.

იმისათვის, რომ სააღრიცხვო ინ-
ფორმაცია გახდეს მნიშვნელოვან მო-
ბილიზებულ საწყისად წარმოების
რეზერვის მოძიებისა და რეალიზა-
ციის ეფექტიანობის ამაღლების საქ-
მეში, მან უნდა განიცადოს გარკვეუ-
ლი ხარისხობრივი ცვლილებები მი-
სი შინაარსის, სარგებლიანობის, უტ-
ყუარობისა და ანალიზის თვალსაზ-
რისით მომხმარებელთა პირობები-
დან გამომდინარე. სააღრიცხვო-ეკო-
ნომიკური ინფორმაციის სრულყო-
ფის დასახელებული მიმართულებე-
ბის რეალიზაცია ითვალისწინებს
მთელ რიგ ცვლილებებს ბუღალტ-
რულ აღრიცხვაში.

სამეურნეო პრაქტიკის მოხმარე-
ბის აღრიცხვის თვალსაზრისით,
უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია
შეიცვალოს საწესდებო ფონდის (კა-
პიტალის) ფორმირებისა და აღრიცხ-
ვის წესისადმი დამოკიდებულება.
ცნობილია, რომ საწარმოსათვის გა-
მოყოფილი და მასზე მიმაგრებული
სახსრების (აქტივების) რაციონალურ
გამოყენებაზე ეფექტური კონტროლი
შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, როცა გაგვაჩნია სრული ინფორ-
მაცია. ეს კი გულისხმობს ყოველი

წყაროს დასაბუთებულ აღრიცხვას, რომელიც წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი სახსრების ერთობლიობას. აღნიშნული საკითხის გადაჭრა შეიძლება აღრიცხვის სისტემაში ცალკეული ბუღალტრული ანგარიშების (თუნდაც ანალიზურის) შემოღებით, რომლებზეც ასახული იქნება საწარმოს დაფინანსების სხვადასხვა წყარო (სააქციო და საპაიო სახსრები, მოიჯარეების სახსრები და სხვა). წყაროების საერთო თანხა კი წარმოადგენს საწარმოს ძირითადი და საბრუნავი სახსრების კაპიტალს.

საწარმოს სამეურნეო პრაქტიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით (ეს კი წარმოადგენს ჩვენი მთავრობის პრიორიტეტულ ამოცანას) რეალიზაციიდან მიღებული შედეგების მნიშვნელობა ასევე იზრდება, რაც მოითხოვს არასამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტურ და სრულ ინფორმაციას.

საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით ფინანსური შედეგების ანალიზური აღრიცხვის სწორი ორგანიზება საშუალებას გვაძლევს გავაზიაროთ საბოლოო შედეგი და შევაფასოთ ყოველი მათგანის ეფექტურობა, ოპერატიული თანამიმდევრობით დავადგინოთ ნეგატიური და დადებითი შედეგები. გარდა ამისა, ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ინფორმაციული საფუძველი ფაქტიური ანალიზის ჩატარებისათვის და იმ მიზეზების გამოვლენისათვის, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ფინანსური შედეგების სიდიდეზე.

თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო მაღალ ხვედრით წილს იძენს ფასიანი ქაღალდების გაყიდ-

ვიდან მიღებული სახსრები. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი და სწორია აქციებიდან მიღებული დივიდენდები შევიტანოთ არასარეალიზაციო შემოსავლების შემადგენლობაში. ასეთი წესი, ჯერ ერთი, აამაღლებს “სასაქონლო შემოსავლის” მაჩვენებლის უტყუარობას, მეორე მხრივ კი, გააძლიერებს მათ დაინტერესებას საკუთარი ფულადი სახსრების გამოყენებაში.

საწარმოს ფინანსური რესურსების მართვის პრაქტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოგების მიმდინარე და საბოლოო გამოყენების აღრიცხვის წესს. საწარმოს დონეზე ყოველივე აღნიშნული დაკავშირებულია ანგარიშსწორებების განხორციელებასთან ბიუჯეტთან, ბანკებთან აღებული კრედიტების გამო და ა.შ. საწარმოო ანარიცხებისა და მასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებების აღრიცხვა ხორციელდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ხორციელდება მოგების მიმდინარე გამოყენების აღრიცხვა, რომელიც მიემართება ბიუჯეტში (გეგმის ფარგლებში), ბანკებთან კრედიტის გამოყენებისათვის (ფაქტიური თანხებით), ფონდებში (გეგმიური, ცალკეულ შემთხვევებში კი, ფაქტიური თანხებით). მეორე ეტაპი მოიცავს საწარმოო ანარიცხების კორექტირებას საანგარიშგებო პერიოდის სამუშაოების მიხედვით.

და ბოლოს, ბუღალტრულმა ინფორმაციამ უნდა განახორციელოს საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის უტყუარი და ობიექტური დახასიათება. ასეთი სახის მონაცემების მიღება შეიძლება განხორციელებული იყოს ბუღალტრული ანგარიშგების ინფორმაციის გა-

ფართობის გზით, სადაც შეტანილი იქნება გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლები.

რამდენადაც გადახდისუნარიანობის მაჩვენებელზე დიდ გავლენას ახდენს საბრუნავ სახსრებში მიმართული ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ მიერ წარმოქმნილი ინფორმაციის აღრიცხვას შემადგენლობისა და გამოყენების თვალსაზრისით. საბრუნავი სახსრების გამოყენების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება მათ შენახვაზე კონტროლი, რადგანაც ამ მდგომარეობის იგნორირებამ შეიძლება მიგვიყვანოს ფინანსურ სირთულეებთან, წყაროების შემადგენლობაში კრედიტორული დაბანდების და კრედიტორული დავალიანებების ზრდასთან. ბუღალტრული კონტროლის ობიექტად უნდა იქცეს საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის მაჩვენებელი, მაგრამ როგორც წესი, მისი განსაზღვრისათვის პირველადი სააღრიცხვო ინფორმაცია არ გაგვაჩნია ხოლმე. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აღრიცხვას არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს საბრუნავი სახსრების შემადგენლობაზე, იმ დროს, როცა სწორედ ამ მაჩვენებელს, საბაზრო ურთიერთობების პირობებში უნდა ექცეოდეს განსაკუთრებული ყურადღება.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებაზე, გვევლინება: ზენორმატიული და გამოუყენებელი ფასეულობების მოზიდვა ბრუნვაში, მათი წარმოქმნის შესახებ გაფრთხილება, დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის შემცირება, წარმოების

ნარჩენების გამოყენების ამაღლება და ა.შ. ამ მაჩვენებლების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ძირითად მომწოდებლად უნდა გახდეს ბუღალტრული აღრიცხვა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება საწარმოთა პასუხისმგებლობა საბრუნავი სახსრების გამოყენებაზე. წარმოიქმნება აუცილებლობა იმისა, რომ ინფორმაციაში ასახული იყოს ის მიზეზები და დამნაშავე პირები, რომლებმაც მიიყვანეს ამ ნაკლოვანებამდე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აუცილებელია სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის გარდაქმნა მისი ოპერატიულობისა და ანალიტიკურობის მიმართულებით. სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს როგორც მაჩვენებელთა შესრულების მოცულობის შესახებ, ისე მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებაც. სწორედ ამიტომაც, მეურნეობის თანამედროვე პირობებში ანგარიშგება წარმოადგენს ანალიტიკური ცხრილების სისტემას, რომელთა მონაცემების საფუძველზეც შეიძლება გავაკეთოთ პრაქტიკული დასკვნები და მივიღოთ მმართველობითი გადაწყვეტილებები.

GIORGI NANUASHVILI

BOOKKEEPING AND MANAGEMENT OF FINANCIAL RESOURCES

S u m m a r y

On the basis of market economy in Georgia, the recovery of economic

programmes foresees to rise the role of finances the industrion.

From the stand point of calculation it's inevitable to changes the dependencebetween pliral regulation fonds and rules of calculation. In modern world resources more and more share from selling securities and it's advisable dividends from the securities to be put into unrealizatiion income membership.

ГЕОРГИЙ НАНУАШВИЛИ

БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ И УПРАВЛЕНИЕ ФИНАНСОВЫМИ РЕСУРСАМИ

Р е з ю м е

Практическое осуществление программы оздоровления экономики в Грузии на основе рыночных отношений предполагает повышение роли и значения финансов на уровне предприятий. В этих условиях возрастает ответственность предприятий за результаты своей деятельности.

С учетом потребностей необходимо изменить отношение к порядку формирования и учета уставного фонда (капитала). В современном мире все больший удельный вес приобретают средства от продажи ценных бумаг. В этой связи представляется целесообразным включать дивиденды по акциям в состав внереализованных доходов.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახოკია გ. ა., ანანიძე ჯ., სახოკია გ. გ. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, თბ., 2010.
2. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ე. ეკონომიკური ანალიზი, თბ., 2007.
3. ცაავა გ. ფინანსური მარკეტინგი, თბ., 2009.
4. ბიწაძე ბ. კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2006.